



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“20” ივლისი 2018 წელი

N 45/36 ეგზ:1

“ვამბაკიძე”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტრო

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის


სარჩევი

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
1.1. უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
1.2. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
1.2.1. კონსოლიდაციის პროცესი.....	4
1.2.2. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა.....	5
1.2.3. ფულადი სახსრები.....	6
1.2.4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	6
1.2.5. ძირითადი აქტივები	7
1.2.6. სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები.....	7
1.2.7. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	9
2.1 ბიუჯეტის შესრულება	9
2.2 სახელმწიფო შესყიდვები	9
2.2.1. შპს „ლენდ მარკ პროექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	9
2.2.2. სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები	10
2.3 კონტროლის სისუსტეები	11
2.3.1 მატერიალური მარაგების ხარჯვა.....	11
2.3.2 მოკლევადიანი მივლინება.....	11
2.3.3 წარმომადგენლობითი ხარჯები.....	11
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	12
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა	13
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)	15
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება	16
ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	17
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება.....	19
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება	20
საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები	21

ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას.

სქემა N1. სამინისტროს სისტემა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების (შემდგომში - დიპლომატიური დაწესებულებები) საშტატო და ხარჯთა ნუსხებს. დაფინანსების მოცულობების განსაზღვრა ხორციელდება ორი ვალუტის - ევროს და აშშ დოლარის მიხედვით. დიპლომატიური დაწესებულებები ამავე ვალუტებში წარმოადგენენ ფინანსურ ანგარიშგებებს. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტი უზრუნველყოფს დიპლომატიური დაწესებულებების დაფინანსებას და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად გამოყენების კონტროლს.

2017 წელს სამინისტროს მიერ ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ 116,140,162 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა (ლარი):

	2017 წლის დამტკიცებული გეგმა	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის საკასო ხარჯი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	115,000,000	116,663,245	116,140,162
ხარჯები	114,082,000	115,085,918	114,910,330
შრომის ანაზღაურება	7,929,000	7,929,000	7,919,712
საქონელი და მომსახურება	100,993,000	101,468,902	101,311,993
გრანტები	5,000,000	5,475,516	5,472,856
სოციალური უზრუნველყოფა	114,000	166,500	161,945
სხვა ხარჯები	46,000	46,000	43,824
არაფინანსური აქტივების ზრდა	918,000	1,522,500	1,175,007
ვალდებულების კლება	-	54,827	54,825

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1. უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას, დასრულებულს აღნიშნული პერიოდისთვის, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1. კონსოლიდაციის პროცესი

1.2.1.1. კონტროლირებული ერთეულების ინფორმაციის ასახვა

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის N548 დადგენილებით², ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის (შემდგომში - მინისტრის აპარატი) ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მინისტრის აპარატის 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია. ამასთან, არ არის კონსოლიდირებული კონტროლირებული ერთეულის - სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“³ ფინანსური ანგარიშგება. არსებითობის გათვალისწინებით, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად არ ასახავს კონტროლირებული ერთეულების ფინანსურ ინფორმაციას.⁴

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

² საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N310 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და თანმდევ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე.

³ 2017 წლის 15 დეკემბრამდე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა მინისტრის აპარატი

⁴ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1.2.1.2. ნაშთებს შორის სხვაობა

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები არ ედრება სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ შესაბამის მონაცემებს. აღნიშნული გამოწვეულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაშთების რეკლასიფიცირებით და 72 დიპლომატიური დაწესებულების ინფორმაციის არასისტემატიზირებული აღრიცხვით.

ვინაიდან, ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მონაცემები არ ედრება ერთმანეთს და მათ შორის სხვაობამ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 591,891 ლარი, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით 64,434 ლარი შეადგინა, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მასთან დაკავშირებულ დანართებში წარმოდგენილი ნაშთების სისრულესა და სისწორეზე.

1.2.1.3. კურსთა შორის სხვაობა

კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, დიპლომატიური დაწესებულებების მიერ უცხოურ ვალუტაში გაწეული ხარჯები გადაყვანილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან⁵, რომლის მიხედვით შემოსავლები და ხარჯები (შესადარისი მონაცემების ჩათვლით) თითოეული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში გადაიყვანება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, რის გამოც ფორმა N2-ში 2017 წლის უარყოფითი ფინანსური შედეგი გაზრდილია 888,566 ლარით.

1.2.1.4. გრანტები და საქონელი და მომსახურება

გრანტების მუხლით აღრიცხული 217,023 ლარი შეცდომით იმავდროულად ასახულია საქონელი და მომსახურების მუხლზეც, რის გამოც აღნიშნული თანხით ფორმა N2-ში საქონელი და მომსახურების მუხლი გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.2.1.5. სხვა ხარჯები

დიპლომატიური დაწესებულებების მიერ გაწეული ყველა ხარჯი კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ფორმა N2-ში ასახულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე, მაშინ როდესაც დიპლომატიური დაწესებულებების მიერ გაწეულია ისეთი ტიპის ხარჯებიც, რომლებიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის⁶ მიხედვით „სხვა ხარჯებს“ მიეკუთვნება. შედეგად, ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 385,927 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

1.2.2. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

დიპლომატიურ დაწესებულებებში საანგარიშგებო პერიოდში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის ყველა ოპერაცია კონსოლიდაციის მიზნებისთვის გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლარის და ევროს მიმართ ლარის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, რაც შეუსაბამოა სსპას 47-ის

⁵ მუხლი 66.

⁶ „საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება.

⁷ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი.

„უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“ მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით შემოსავლის და ხარჯის მუხლების საანგარიშგებო ვალუტაში გადასაყვანად გამოყენებული უნდა იყოს პერიოდის საშუალო კურსი, რომელიც უახლოვდება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებულ გაცვლით კურსს. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციებით წარმოქმნილ საკურსო სხვაობას 2,480,854 ლარი უნდა შეედგინა⁸.

ვინაიდან, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში (ფორმა N4) კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი და ზარალი ასახულია სხვა არასაოპერაციო შემოსავლების და ხარჯების მუხლში, აღნიშნული შეუსაბამობის ფინანსურ ანგარიშგებაზე ზუსტი ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია.

1.2.3. ფულადი სახსრები

სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრების როგორც საწყის, ასევე საბოლოო ნაშთზე, ასახულია სამინისტროს აპარატის ბალანსზე „სხვა ანგარიშები ბანკში“ რიცხული 263,986 ლარი, რომელიც უცვლელად ირიცხება 1997 წლიდან. გამომდინარე იქიდან, რომ ფულადი სახსრების ნაშთი რეალურად არ არსებობს, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ფორმა N1) „ფულადი სახსრების“ ნაშთი 263,986 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.2.4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

1.2.4.1. ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს დებიტორული დავალიანება 8,671,440 ლარს შეადგენს, საიდანაც 1996-2016 წლებში წარმოქმნილი 3,674,897 ლარის დებიტორული დავალიანებები ირიცხება დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსებზე, ხოლო 2,652 ლარის დავალიანება - სამინისტროს აპარატის ბალანსზე.

დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსებზე რიცხული 3,674,897 ლარის დებიტორული დავალიანებებიდან, 1996-2007 წლებში წარმოშობილი დავალიანების ნაშთია 694,690 ლარი, ხოლო 2008-2016 წლებში 2,980,207 ლარი, რომელთა რეალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოიპოვება. ვინაიდან არ არის გატარებული საკმარისი ღონისძიებები და სამინისტროს არ უმსჯელია რამდენად რეალურია დებიტორული დავალიანებების ამოღება, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 3,677,549 ლარის მოთხოვნების არსებობასა და სისწორეზე.

1.2.4.2. დაბრუნებადი გადასახადები

ზოგიერთი დიპლომატიური დაწესებულების⁹ მიერ გაწეული ხარჯები და შეძენილი არაფინანსური აქტივები ბუღალტრულად აღირიცხება დაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით.

საელჩოების მიერ დაბრუნებადი გადასახადების შემოსავლად აღიარება ხორციელდება საკასო მეთოდით - თანხის უკან დაბრუნებისას, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან¹⁰, რომლის მიხედვით ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები, ან მოხდება თუ არა მომავალში გადახდა/მიღება.

⁸ დათვლილია დიპლომატიური დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მონაცემების მიხედვით.

⁹ საფრანგეთში და ავსტრიაში საქართველოს საელჩოები.

¹⁰ მუხლი 3

შესაბამისად, დაბრუნებადი გადასახადების თანხებით უნდა შემცირებულიყო როგორც დარიცხული ხარჯების, ასევე აქტივების თვითღირებულება.

აღნიშნული შეუსაბამოების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის დადგენის შეუძლებლობის გამო, ვერ მივიღეთ რწმუნება ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ნაშთის სისრულესა და სისწორეზე.

1.2.4.3. სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ფორმა N1) მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშზე ასახულია დიპლომატიური დაწესებულებების¹¹ იჯარის თანხის დეპოზიტები (საგარანტიო თანხა) 48,399 ლარის ღირებულებით, რომელთა დაბრუნება ვერ განხორციელდება საიჯარო ხელშეკრულების დასრულებამდე. ვინაიდან, თანხის დაფარვა არ არის მოსალოდნელი ანგარიშგების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, დებიტორული დავალიანებები ვერ აკმაყოფილებენ მოკლევადიან აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და ისინი აღრიცხული უნდა იყოს გრძელვადიან მოთხოვნებზე. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1) 48,399 ლარით გაზრდილადაა ნაჩვენები მოკლევადიანი მოთხოვნები და ამავე თანხით არის შემცირებული გრძელვადიანი მოთხოვნები.

1.2.5. ძირითადი აქტივები

2017 წლის 17 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარგებლობის უფლებით¹² გადაეცა თბილისში, გიორგი ლეონიძის ქ. N3-5 მდებარე შენობა-ნაგებობები¹³. ვინაიდან გადმოცემის დოკუმენტში არ იყო მითითებული შენობის ღირებულება, ქონება შესაბამისი ღირებულებით არ არის ასახული ბალანსში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ანგარიშზე ასახულია პოლონეთში საქართველოს საელჩოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება 428,084 ლარის ღირებულებით. უძრავი ქონების გადმოცემის შესახებ დოკუმენტში არ არის გამიჯნული მიწის და შენობის ღირებულება და თანხა სრულად მიკუთვნებულია შენობის ღირებულებას. 2009 წლიდან შენობაზე არ არის დარიცხული ცვეთა. ვინაიდან, უცნობია შენობის ისტორიული ღირებულება, გაურკვეველია 2017 წლის ზუსტი საწყისი და საბოლოო ნაშთები და ასევე 2017 წლის ძირითადი კაპიტალის მოხმარების თანხა.

1.2.6. სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება 1,661,436 ლარს შეადგენს, მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი 386,486 ლარის კრედიტორული დავალიანებები უცვლელად ირიცხება დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსებზე.

ვინაიდან, სამინისტროს მიერ არ არის გატარებული ქმედითი ღონისძიებები მათი რეალობის დადგენის მიზნით, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმა N1-ში 386,486 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანების არსებობასა და სისრულეზე.

¹¹ გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა და აშშ-ში საქართველოს საელჩო

¹² არსებობის ვადით

¹³ შენობა ნაგებობები N1 საერთო ფართობით 608.82 კვ.მ, N3 საერთო ფართობით 645.33 კვ.მ, N4 საერთო ფართობით 131.01 კვ.მ, N5 საერთო ფართობით 126.6 კვ.მ., მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.15.05.066.022

1.2.7. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არასაკმარისადაა წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და ერთეულის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია კონტროლირებული ერთეულების განსხვავებული საქმიანობების შესახებ.

დიპლომატიური დაწესებულებები საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებიდან იღებენ შემოსავლებს, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისა“ აისახება „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის N835 ბრძანებულების¹⁴ მიხედვით, დიპლომატიურმა დაწესებულებებმა შემოსულობების ხარჯვა უნდა განახორციელონ ადგილსამყოფელ ქვეყანაშივე ე.წ. „ბიუჯეტთან ჩათვლის წესით“.

ვინაიდან, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სამინისტრომ არ მიუთითა გამოყენებულ სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა დამატებით გარემოებებზე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც მათ ფინანსური ანგარიშგების აღქმაში დაეხმარებათ.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს, დეტალურადაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

¹⁴ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ბიუჯეტის შესრულება

ფისკალური წლის ბოლოს ავანსად გადახდილი თანხები დაკავშირებული უნდა იყოს ობიექტურ გარემოებებთან, რათა ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლის ზრდის მიზნით არ განხორციელდეს საბიუჯეტო სახსრების ათვისება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული 2018 წლის საიჯარო თანხების წინსწრებით გადახდა და მეიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულებაც არ ითვალისწინებდა ავანსის გადახდის ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, მუდმივი წარმომადგენლობის მიერ 2017 წლის 26 დეკემბერს წინსწრებით გადახდილ იქნა 2018 წლის ოფისის იჯარის თანხა - 294,886 აშშ დოლარი (748,185 ლარი).

ვინაიდან, ფისკალური წლის ბოლოს წინასწარი ანგარიშსწორების აუცილებლობა მხარჯავი დაწესებულების წინაშე არ იდგა, ავანსის სახით გადახდებით მოხდა აუთვისებული საბიუჯეტო სახსრების გახარჯვა და ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლის ზრდა.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

2.2.1. შპს „ლენდ მარკ პროჯექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვები ზუსტად უნდა პასუხობდეს ორგანიზაციის წინაშე მდგარ მიზნებს და ამოცანებს.

2017 წლის 17 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარგებლობის უფლებით გადაეცა თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები, რომელთა საექსპერტიზო, გეოლოგიური და საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2017 წლის 3 აგვისტოს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს გამოეყო 737,000 ლარი. ზემოაღნიშნული სამუშაოების განხორციელებისთვის 2017 წლის 4 აგვისტოს სამინისტრომ 721,954 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა შპს „ლენდ მარკ პროჯექტთან“¹⁵.

დადგენილი პრაქტიკით, ყველა სამშენებლო სამუშაოს დაწყებას, წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი პროექტი და მხოლოდ მისი შეთანხმების შემდეგ იწყება ძირითადი სამუშაოები. შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდა¹⁶ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ (შემდგომში - მგფ), რომლის მიერ კონსტრუქციული სამუშაოების ნაწილი დასრულდა 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით, ხოლო შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ მიერ შესრულებულ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ცვლილება-ადაპტაციის კონსტრუქციული ნაწილის მუშა პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული სამუშაოები, აღმოჩნდა ხარვეზიანი, მოხდა მათი ექსპერტიზაზე რამდენჯერმე წარდგენა და ექსპერტიზიდან¹⁷ საბოლოო ვარიანტი დაბრუნდა 2018 წლის 27 აპრილს. შესაბამისად, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ მიერ შესრულებულ სამუშაოს სრულად ვერ დაეყრდნობოდა, და არც სხვა ალტერნატიული პროექტი არსებობდა.

¹⁵ კომპანია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში დარეგისტრირდა ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე.

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 აგვისტოს N1763 განკარგულება.

¹⁷ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ასევე აღსანიშნავია, რომ შპს „ლენდ მარკ პროექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები დაყოფილი იყო ოთხ ეტაპად:

1. 3D და 2D აზომვით ნახაზები, სამგანზომილებიანი მოდელი, დემონტაჟის ნახაზები, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის გეგმარება, ჯამური ღირებულება - 201,891 ლარი.
2. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია-ცვლილებების არქიტექტურული ნაწილი, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია-ცვლილებების საინჟინრო პროექტი, საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური და ისტორიული კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია-ცვლილებების კონსტრუქციული პროექტი, ჯამური ღირებულება - 216,586 ლარი.
3. ახალი შენობის არქიტექტურული ნაწილი, ახალი შენობის გეგმარება და ახალი შენობის სამგანზომილებიანი მოდელი, ახალი შენობის საინჟინრო პროექტი, ახალი შენობის კონსტრუქციული პროექტი, ჯამური ღირებულება 299,877 ლარი.
4. სამშენებლო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა 12 თვე - ჯამური ღირებულება 3,600 ლარი.

ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა პროექტის ექსპერტიზაზე წარდგენას, თუმცა სამინისტრომ მეორე ეტაპის საპროექტო სამუშაოები ექსპერტიზაზე წარადგინა მას შემდგომ, რაც შემსრულებელთან უკვე გაფორმებული ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტი და 418,487 ლარიც უკვე ანაზღაურებული იყო.

2.2.2. სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების¹⁸ თანახმად, ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა განისაზღვრება პირდაპირი დანახარჯებიდან, ხოლო გეგმური მოგება ერიცხება პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამს.

2016 წლის 28 სექტემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირითადი ადმინისტრაციული შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლიგელის მე-3, მე-4 და მე-5 სართულების სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. გამოვლენილ საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტთან - შპს „პარმალთან“ 2016 წლის 7 ნოემბერს გაფორმდა 898,200 ლარის ხელშეკრულება.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში, ადმინისტრაციული კორპუსის სარემონტო სამუშაოებისას დაიგო სამინისტროს საკუთრებაში არსებული 736 კვ.მ ლამინატი, რომელიც შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა N2, რიგი N65) განფასებული იყო 25,794 ლარად, მათ შორის დანარიცხების (ზედნადები ხარჯები, მოგება და დღგ) ოდენობა შეადგენდა 7,394 ლარს.

მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორებისას, მთლიანი სამუშაოების თანხას დააკლდა¹⁹ მხოლოდ ლამინატის ღირებულება (18,400 ლარი), ხოლო მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურდა დანარიცხების თანხა - 7,394 ლარის ოდენობით.

¹⁸ ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ.

¹⁹ 2017 წლის 14 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი

2.3 კონტროლის სისტემები

2.3.1 მატერიალური მარაგების ხარჯვა

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები შედგენილი უნდა იყოს ეკონომიკური მოვლენების მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე.

ზოგიერთი დიპლომატიური დაწესებულება²⁰ მატერიალურ მარაგებს შესყიდვისთანავე ჩამოწერდა ხარჯებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში არ იყო შემუშავებული მატერიალური მარაგების ხარჯვის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია (ჩამოწერის აქტი), რაც კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

2.3.2 მოკლევადიანი მივლინება

მოქმედი კანონმდებლობის²¹ მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებები აკრედიტებული არიან ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში, მათი აკრედიტაციის ქვეყნებში ამ დაწესებულების მოხელეთა მივლინება ჩაითვლება მივლინებად იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს.

ზოგიერთი დიპლომატიური დაწესებულების²² მიერ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული მოთხოვნა, რის გამოც სამივლინებო თანხები ანაზღაურებული იყო ზედმეტად.

2.3.3 წარმომადგენლობითი ხარჯები

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით²³, საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების მექანიზმები და პროცედურები იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური რესურსების მართვის და კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირება.

დიპლომატიურ დაწესებულებებში წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით შედგენილ მოხსენებით ბარათებში არ იყო დეტალურად მითითებული ჩატარებული ღონისძიებების შინაარსი და ინფორმაცია დამსწრე პირებზე, არ იყო შემუშავებული ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც კონტროლის მექანიზმების სისტუზე მიუთითებს და წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკს.

²⁰ ავსტრიაში, იტალიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და აშშ-ში საქართველოს საელჩოები.

²¹ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების მე-4 მუხლი.

²² იტალიაში, ჩინეთში, სამხრეთ აფრიკაში საქართველოს საელჩოები

²³ მუხლი 4.

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცლაკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- J ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამოზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- J შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
